

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლევან მარსაგიშვილი

ჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრავლიკური ამძრავთა
სისტემების დინამიკური მოდელირება და სინთეზი
მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა
და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები

შიფრი 0408

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175,

საქართველო ივლისი, 2017 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლევან მარსაგიშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „ჰიდრავლიკური და ჰიდროელექტრომექანიკური ამბრავთა სისტემების დინამიკური მოდელირება და სინთეზი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: „ 7 “ ივლისი 2017 წელი

ხელმძღვანელი:

ტ.მ.დ., პროფესორი

თამაზ მჭედლიშვილი

რეცენზენტი:

ტ.მ.დ., პროფესორი

ზაურ ბალამწარაშვილი

რეცენზენტი

ტ.მ.კ.

ბელა ნავროზაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლევან მარსაგიშვილი

ჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრომექანიკური ამბრავთა
სისტემების დინამიკური მოდელირება და სინთეზი მოცემული
გარდამავალი პროცესების მიხედვით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და
მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
ივლისი 2017 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს“. „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ავტორის ხელმოწერა _____

რეზიუმე

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ხასიათდებიან ავტომატიზებული მანქანების ფართო დანერგვით ინერგება პროგრამული მართვის ჩარხები, რობოტოტექნიკური სისტემები, ავტომატიკის ელემენტების შემცველი სატრანსპორტო მოწყობილობები და ა.შ.

ავტომატიზებული მანქანების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციონალურ ელემენტებს წარმოადგენენ მექანიკური, ელექტრო, ჰიდრო და პნევმო ამძრავები, რომლებიც მრავალ შემთხვევაში წარმოადგენენ სტრუქტურულად რთულ ტექნიკურ მოწყობილობებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მანქანების კონსტრუქცია და სტრუქტურა მრავალ წილად განპირობებულია ამძრავთა სისტემების სტრუქტურითა და კონსტრუქციებით.

ზემოთაღნიშნული ამძრავთა კონკრეტული სისტემების შემუშავებასთან და კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების მიმოხილვა მიგვითითებს, რომ ბოლო დროს ამ სისტემებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა ამძრავთა სისტემებმა.

ასეთმა სისტემებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს ავტომატიზებულ, მანქანებში მათ შორის პროგრამული მართვის ჩარხებში, რობოტოტექნიკურ კომპლექსებში, თანამედროვე გემების მართვის საპასუხისმგებლო მოწყობილობებში.

ამძრავთა აღნიშნული სისტემების შემუშავებასა და კვლევასთან დაკავშირებულ ნაშრომთა მიმოხილვა მიგვითითებს მათში მიმდინარე დინამიკური პროცესების ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების ეფექტურობის ამაღლების სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის აქტუალურობაზე, რაც წარმოადგენს რთული მრავალბმული, მრავალკონტურიანი სისტემების ოპტიმიზაციური გაანგარიშების ზოგადი პრობლემის შემადგენელ ნაწილს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს

თანამედროვე მანქანებში და მანქანათა სისტემებში ფართოდ გამოყენებული ამძრავთა სისტემების მიმოხილვა, რთული სტრუქტურის ჰიდრავლიკური, ელექტროჰიდრავლიკური და ელექტრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების ორიგინალური მათემატიკური მოდელების და დინამიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავება მიმართული ამ სისტემათა ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

დასახული მიზნის მიღწევისათვის კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- ამძრავთა საკვლევი სისტემების, მათი დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავების საკითხის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და შემდგომი კვლევის ამოცანების ფორმირება;

- საკვლევი მრავალკონტურიანი სისტემების ცალკეული ფუნქციონალური ელემენტების მათემატიკური მოდელების ანალიზი და მათ საფუძველზე მთლიანი სისტემების დინამიკური მოდელების შემუშავება მექანიკურ ნაწილში როგორც აბსოლუტურად ხისტი, აგრეთვე დრეკადრგოლებიანი მოდელების გათვალისწინებით;
- შემუშავებული მოდელების გამოყენებით საკვლევ სისტემათა დინამიკური სტრუქტურული სქემების, გადამცემი ფუნქციების და რეგულირებად კოორდინატთა გამოსახულებების აგება როგორც სინთეზის დასამუშავებელი მეთოდის შემადგენელი ნაწილისა;
- შესამუშავებელი მეთოდის ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა და მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის ალგორითმების აგება;
- კონკრეტული მოთვალთვალე სისტემების კვლევა. შემუშავებული მეთოდებისა და სისტემების თავისებურებების და ეფექტურობის ხარისხის გამოვლენა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:

- საკვლევი ჰიდრაულიკური, ელექტროჰიდრაულიკური და ელექტროჰიდრომექანიკურ სისტემებთან მიმართებაში დინამიკის მათემატიკური მოდელირების, მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის მეთოდში სასურველი პროცესების ფორმირებისა და სინთეზირებადი პარამეტრების ძიების მეთოდების აგების ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომებში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. საკვლევი მრავალრეჟიმული ამძრავთა სისტემების დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები და მეთოდიკები და კვლევის შედეგები, მიმართული განსაზღვრული ამძრავთა ელექტრომექანიკური სისტემების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

სამეცნიერო დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების უტყუარობა უზრუნველყოფილია მათემატიკური მოდელირების, რეგულირების რთული სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული სინთეზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების გამოყენებით. შესავალ ნაწილში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა, ჩატარებულია თანამედროვე ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ამძრავთა, მათ შორის ჰიდრაულიკური, ელექტროჰიდრაულიკური და ელექტროჰიდრომექანიკური ამძრავების ზოგადი ფუნქციონალური და სტრუქტურული თავისებურებების მიმოხილვა. ჩატარებულია განხილვადი დინამიკური სისტემების მოდელირებისა და კვლევის საკითხების მიმოხილვა, კერძოდ გაანალიზებულია, როგორც მექანიკური ნაწილის მოდელირება-კვლევისათვის საჭირო მათემატიკური კანონზომიერებები, აგრეთვე მოთვალთვალე ავტომატიზებული ამძრავთა სისტემების აგებისა და

კვლევის ძირითადი მეთოდები და მეთოდიკები. ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია ავტომატიზებულ ჩარხებში, რობოტოტექნიკურ და გემების მართვის სისტემებში გამოყენებული კონკრეტული სახის ჰიდრავლიკური, ელექტროჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრომექანიკურ ამძრავთა სისტემები.

ჰიდრავლიკური ნაწილის აღმწერ განტოლებათა სისტემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ უკანასკნელნი მიეკუთვნებიან არსებითად არაწრფივ სისტემებსა და მათში ჰიდრავლიკური მკვეთარების ხარჯვითი მახასიათებლებით წარმოქმნილ არაწრფივ ფუნქციებთან ერთად საქმე გვაქვს მშრალი ხახუნის ძალის მოქმედებით წარმოქმნილ არაწრფივ იმპულსურ ფუნქციასთან.

ჩამოყალიბებულია აღნიშნულ სისტემათა დინამიკური ანალიზის ორიგინალური მეთოდოლოგია იმპულსური ფუნქციის ზემოქმედებათა გათვალისწინებით.

ცალკეული ელემენტების შემუშავებული მოდელების და მათი შეთანწყობის საკითხების გათვალისწინებით აგებულია ავტომატიზებულ (მათ შორის პროგრამული) მართვის ჩარხებში, რობოტოტექნიკურ სისტემებში და გემების მდებარეობისა და კურსის მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ფართო გამოყენებული მთლიან ელექტრომექანიკური სისტემების დინამიკური მოდელები. მექანიკური ნაწილის მოდელირების საკითხის გადაჭრაში მთლიანი სისტემის სტრუქტურასთან შეთანწყობაში გამოყენებულია აპროქსიმაციულ მოდელებზე გადასვლის ორიგინალური მეთოდოლოგია წარმოსახვით სიხშირეთა მოდიფიცირებული მახასიათებლების გამოყენებაზე.

აღნიშნულ ელექტროჰიდრომექანიკურ სისტემებთან მიმართებაში შესწავლილია მკვეთარას გავლით სითხის ხარჯის, წნევის ვარდნის და ჰიდრომრავაში მოხმარებული სითხის რაოდენობის კანონზომიერებები და მათი გათვალისწინებით შემუშავებულია დრეკადრგოლებიანი ორ- და სამმასიანი აპროქსიმაციული მოდელების შემცველი სისტემები.

გემის კურსისა და მდებარეობის მართვის ელექტროჰიდრომექანიკური სისტემებისათვის არაწრფივი დინამიკური მოდელების აგებისას გამოყენებულია ჰიდრო და დრეკადრგოლებიანი მექანიკური ნაწილის ორიგინალური ურთიერთდამაკავშირებელი კანონზომიერებები.

განხილულია ზოგადი ფორმით საკვლევი სისტემების მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზის მეთოდოლოგიის ცალკეული ეტაპები და პროცედურები. ავტომატიზებულ ჩარხებში და რობოტოტექნიკურ სისტემებში ფართოდ გამოყენებული ელექტროჰიდრომექანიკური სისტემების მიმართ. სინთეზის მეთოდოლოგიის რეალიზაციის თვალსაზრისით: შემუშავებული იქნა სტრუქტურული სინთეზისათვის საჭირო შუალედურ კოორდინატთა გამოსახულებები, შედგენილი იქნა სისტემებისათვის სასურველი პროცესების გამოსახულებები; მიღებული იქნა პირობითი და ნორმალური

განტოლებათა სისტემები, ჩაწერილნი სამიებელ პარამეტრებთან მიმართებაში, მოცემულია ნორმალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნების გამოსახულებები.

კვლევის ჩამოყალიბებული პროცედურების აპრობაციისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო გამოკვლევები გარკვეული საწყისი პარამეტრების მქონე სისტემასთან მიმართებაში.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს საკვლევი სისტემის ინჟინრული სინთეზის შემუშავებული თეორიის პრაქტიკული ეფექტურობა სასურველ პროცესთან სიახლოვის მხრივ და აგრეთვე მათი მახასიათებლების შემდგომი სრულყოფის საშუალებების თვალსაზრისით.

Abstract

Modern trends of technology development are characterized by a wide implementation of variety of automated machines. Are implemented the programmable machines, robotic systems and transportation equipment including automation elements, etc.

The one of the main functional elements of automated machine represents the mechanical, electrical, hydraulic and pneumatic drives that in many cases are structurally complex technical devices.

In this regard, the machine's design and structure are largely determined by the drive systems structure and design.

The related with development and research of above mentioned drive systems papers reviews suggesting that currently these systems were widely used in hydraulic and electro-hydraulic and electro-hydro-mechanical drive systems.

Such systems were widely used in automated, including software control machines, robotic complexes, responsible control systems of modern ships.

The related with development and research of above mentioned drive systems papers reviews suggesting on the relevance of improvement of scientific and technological task analysis and synthesis methods and techniques for carried out in them dynamic processes that represents constituent part of general problem of optimization calculation of complex multi-link, multi-contour systems.

The objective of the work is:

The review of widely used in modern machines and machine systems drive systems, the development of original mathematical models and dynamic research methods and techniques of complex structure hydraulic, electro-hydraulic and electromechanical systems directed on increasing the effectiveness and quality of these systems.

For achievement of intended objective of the research tasks are included:

- The analysis of modern state of drive systems under study, the issue of development of their dynamic analysis and synthesis methods and techniques and formation of further research tasks;
- The analysis of mathematical models of individual functional elements of multi-contour systems under study and on their basis the development of dynamic models of entire system developed in the mechanical part as absolutely rigid, as well as with consideration of models with flexible links;
- By application of developed models developed for the dynamical schemes of systems under study, construction of transmission functions and regulated coordinate's expressions as a component of method under development;
- The revealing basic principles of a method under development and accordingly to transient construction of synthesis algorithms;

- The research of specific follow-up systems. Revealing of features and degree of efficiency of developed methods and systems.

The scientific novelty of work lies in:

- the new methodological approaches of construction of desired processes formation and the search of synthesized parameters method accordingly of stated transient processes of hydraulic, electro-hydraulic and electro-hydropneumatic systems under study mathematical modeling of dynamics.

Practical value of the work. The methods and methodologies of multi-mode drive systems under study dynamic analysis and synthesis and the results of research, directed on the improvement of quality and efficiency of the drive electromechanical systems.

The reliability of scientific provisions, conclusions and recommendations are provided by the application of mathematical modeling, scientifically proven methods complex structural systems regulation and parametric synthesis.

In the introduction part is justified the urgency of the thesis, the review widely applied in the latest technology drives, including hydraulic, electrohydraulic and electro-hydro mechanical actuators general functional and structural features.

Is carried out the overview of the issues of construction dynamic systems modeling and research, in particular, is analyzed the necessary for research of mathematical modeling of mechanical part, as well as basic methods and methodologies for follow-up officers automated drive systems design and research.

In the main part of the work are considered used for in the automated machine, robotic and ship control systems specific types of hydraulic, electrohydraulic and electro hydro-mechanical drive systems.

Based on the analysis of describing hydraulic part simultaneous equations describing is shown that the latter belongs to the essentially non-linear systems and with their hydraulic valve charge characteristics we deal with non-linear functions generated by dry friction force nonlinear pulse function.

Is stated the original methodology of dynamic analysis of mentioned system with taking into account of the impacts of the pulse function.

With taking into account the individual elements of the developed models and their matching issues are constructed in automated machines (including software control), robotic systems and ships location and course automated control systems widely are applied dynamic models of the entire electro-mechanical systems. In the solution of issue of the modeling of mechanical part with matching with whole system structure is applied the original methodology of transition on approximation models with application of imaginary frequencies modified characteristics.

With respect of mentioned electro-hydro-mechanical systems have been studied the laws of liquid consumption through valve, pressure drop and consumed in hydraulic drive their liquid amount has been developed taking into account the containing two- and three-mass approximated models systems with flexible links.

At construction of nonlinear dynamical models for the ship's course and location control electro-hydro-mechanical systems are applied original interconnection laws of hydro and mechanical part with flexible links.

Are considered in the general form accordingly of stated transition processes of the systems under study the individual stages and procedures of structural and parametric synthesis methodology.

For widely used in the automated machines and robotic systems are electro-hydro-mechanical systems. In terms of the realization of synthesis methodology: has been developed required for the structural synthesis expressions of the intermediate coordinates, has been generated the expressions of the desired processes for system; were obtained conditional and normal simultaneous equations with respect to the written down desired parameters, are stated the expressions for solution of normal simultaneous equations.

For the approbation of procedures used for testing ere conducted engineering studies with respect to the having certain initial parameters system.

The carried out researches have shown the practical effectiveness of developed theory of engineering synthesis of systems under study with the proximity of desired processes in terms of the and their characteristics as well as in terms of further improvement of their parameters.

შინაარსი

შესავალი	13
1. ლიტერატურული მიმოხილვა	
1.1. ამძრავთა სისტემები მექანიკის ინჟინერიაში	16
1.2. მექანიზმებისა და ამძრავთა სისტემების პროექტირების და დინამიკური კვლევის საკითხების მიმოხილვა	23
2. შედეგები და მათი განსჯა	
2.1. ჰიდრავლიკურ და ელექტროჰიდრომექანიკურ ამძრავთა სტრუქტურა და დინამიკური მოდელირება	33
2.1.1. ჰიდრო- და ელექტროჰიდროამძრავების სტრუქტურული სქემატიზაცია და დინამიკური მოდელირება	33
2.1.2. მათემატიკური მოდელების ხარისხობრივი ანალიზი და გარდამავალი პროცესების აგების მეთოდოლოგიის შემუშავება	45
2.2. ელექტროჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების მოდელირება დრეკადობის გათვალისწინებით მექანიკურ ნაწილში	53
2.2.1. დრეკადრგოლებიანი მექანიკური ნაწილის დინამიკური მოდელების შემუშავება	53
2.2.2. მთლიანი სისტემის დინამიკური მოდელების აგება	70
2.3. საკვლევი ელექტროჰიდრომექანიკური სისტემის სტრუქტურული სქემების აგება და გარდამავალი პროცესების ანალიზის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება	75
2.4. მექანიკურ ნაწილში დრეკადრგოლებიანი ელექტროჰიდრომექანიკური სისტემის სტრუქტურულ– პარამეტრული სინთეზის ამოცანების გადაჭრა	80
2.5. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემების, გადამცემი ფუნქციების და სინთეზის პროცედურების კანონზომიერებების შემუშავება .	94

2.6. საკვლევი ელექტროჰიდრომექანიკურ სისტემის დინამიკური სინთეზი და გარდამავალი პროცესების ანალიზი	98
2.7. გემის კურსის მართვის ელექტროჰიდრომექანიკური სისტემის სტრუქტურული სქემები და მათემატიკური მედელების აგება	109
3. დასკვნები	126
გამოყენებული ლიტერატურა	130

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. დროსეღური რეგულირების ჰიდროამძრავი მოქმედი დატვირთვებით, არახისტი საყრდენებითა და გაყვანილობით	33
ნახ. 2. მუდმივი წნევის კვების წყაროდან მომუშავე დროსეღური რეგულირების ჰიდროამძრავის სტატიკური მახასიათებლები	35
ნახ. 3. მარტივი ჰიდროცილინდრის სქემა	36
ნახ. 4. ა) ორმხრივჰოკიანი და მკვეთარა გამანაწილებლიანი ჰიდროცილინდრი ბ) ჰიდროცილინდრის უგანზომილებო ჰიდრავლიკური სიხისტის დამოკიდებულება დგუმის უგანზომილებო გადაადგილებასთან	37
ნახ. 5. მდებარეობის უკუკავშირიანი ელექტროჰიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავის პრინციპული სქემა	41
ნახ. 6. სამმასიანი მექანიკური სისტემის სტრუქტურული სქემა	65
ნახ. 7. ორმასიანი მექანიკური სისტემის სტრუქტურული სქემა	65
ნახ. 8. სისტემის ფუნქციონალური ბლოკ-სქემა	70
ნახ. 9. სისტემის სტრუქტურული სქემა	74
ნახ. 10. სტრუქტურული სქემა	77
ნახ. 11. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	79
ნახ. 12. რეგულირების ოპტიმალური სისტემის სქემა	84
ნახ. 13. პარალელური უკუკავშირების რგოლებიანი სისტემის	

სტრუქტურული სქემა	96
ნახ. 14. სინთეზის შედეგად მიღებული დამოკიდებულებები	107
ნახ. 15. სისტემის საგრძნობი სიხშირული მახასიათებლები	108
ნახ. 16. გარდამავალი პროცესების მრუდები	109
ნახ. 17. ძალოვანი მოთვალთვალე სისტემა ტუმბო-ძალოვანი დგუში	110
ნახ. 18. ძალოვანი ელექტროჰიდროამპრავის სქემა	111
ნახ. 19. ძალოვანი ელექტროჰიდროამპრავის სქემა მართვის არაწრფივი კანონით სისტემის ჰიდრავლიკურ ნაწილში	112
ნახ. 20. ძალოვანი ამპრავის სტრუქტურული სქემა	119
ნახ. 21. კურსის მართვის სისტემის სტრუქტურული სქემა	119
ნახ. 22. გამსხვილებული სტრუქტურული სქემა	120
ნახ. 23. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	122
ნახ. 24. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	122

შესავალი

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ხასიათდებიან ავტომატიზებული მანქანების ფართო დანერგვით. ინერგება პროგრამული მართვის ჩარხები, რობოტოტექნიკური სისტემები, ავტომატიკის ელემენტების შემცველი სატრანსპორტო მოწყობილობები და ა.შ.

ავტომატიზებული მანქანების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციონალურ ელემენტებს წარმოადგენენ მექანიკური, ელექტრო, ჰიდრო და პნევმო ამძრავები, რომლებიც მრავალ შემთხვევაში წარმოადგენენ სტრუქტურულად რთულ ტექნიკურ მოწყობილობებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მანქანების კონსტრუქცია და სტრუქტურა მრავალ წილად განპირობებულია ამძრავთა სისტემების სტრუქტურითა და კონსტრუქციებით.

ზემოთაღნიშნული ამძრავთა კონკრეტული სისტემების შემუშავებასთან და კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების მიმოხილვა მიგვითითებს, რომ ბოლო დროს ამ სისტემებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა ამძრავთა სისტემებმა.

ჩარხებში ამ სისტემების სამრეწველო გამოყენების საწყისები მიეკუთვნებიან 1940–1955 წლებს. ამ პერიოდში მოთვალთვალე სისტემების ბაზაზე შემუშავებული იქნა ავტომატიზებული მაკოპირებელი ჩარხები, რომლებიც უნივერსალურ ჩარხებთან შედარებით იძლევიან დეტალის დამუშავების შრომატევადობის შემცირების საშუალებას.

ასეთი სისტემის გამოყენება მკვეთრად გაიზარდა რიცხოვრივი პროგრამული მართვის ჩარხების წარმოშობასთან და რობოტოტექნიკური სისტემების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით.

ჰიდრო, ელექტროჰიდრო- და ელექტროჰიდრომექანიკური სისტემები ხასიათდებიან მაღალი სწრაფქმედებით და საშუალებას იძლევიან განვახორციელოთ ჩარხის სწრაფი რევერსირება და დამუხრუჭება. ამასთან ერთად ამძრავი ხასიათდება დაბალი მასით და ახორციელებს მდორე

სვლას.

ელექტროჰიდრომექანიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს თანამედროვე გემების მართვის საპასუხისმგებლო სისტემებში.

გემის კურსისა და მდებარეობის მართვის სისტემები და მათში გამოყენებული ელექტროჰიდრომექანიკური ამძრავები ახორციელებენ გემთწამყვანის ძირითად ამოცანას, დაკავშირებულს წაყენებულ ამოცანისა და მოცემული ხარისხობრივი კრიტერიუმების შესაბამისად გემის ზუსტ და უსაფრთხო მართვასთან და თავის მხრივ გემების ავტომატიზებულ ამძრავთა შორის წარმოადგენენ უმეტესად რთულ მრავალკონტურიან სისტემებს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს

თანამედროვე მანქანებში და მანქანათა სისტემებში ფართოდ გამოყენებული ამძრავთა სისტემების მიმოხილვა, რთული სტრუქტურის ჰიდრავლიკური, ელექტროჰიდრავლიკური და ელექტრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების ორიგინალური მათემატიკური მოდელების და დინამიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავება მიმართული ამ სისტემათა ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

დასახული მიზნის მიღწევისათვის კვლევის ამოცანებში ჩართულია:

□ ამძრავთა საკვლევი სისტემების, მათი დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავების საკითხის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და შემდგომი კვლევის

ამოცანების ფორმირება;

□ საკვლევი მრავალკონტურიანი სისტემების ცალკეული ფუნქციონალური ელემენტების მათემატიკური მოდელების ანალიზი და მათ საფუძველზე მთლიანი სისტემების დინამიკური მოდელების შემუშავება მექანიკურ ნაწილში როგორც აბსოლუტურად ხისტი, აგრეთვე დრეკადრგოლებიანი მოდელების გათვალისწინებით;

□ შემუშავებული მოდელების გამოყენებით საკვლევ სისტემათა დინამიკური სტრუქტურული სქემების, გადამცემი ფუნქციების და

რეგულირებად კოორდინატთა გამოსახულებების აგება როგორც სინთეზის დასამუშავებელი მეთოდის შემადგენელი ნაწილისა;

- შესამუშავებელი მეთოდის ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა და მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის ალგორითმების აგება;
- კონკრეტული მოთვალთვალე სისტემების კვლევა, შემუშავებული მეთოდებისა და სისტემების თავისებურებების და ეფექტურობის ხარისხის გამოვლენა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:

- საკვლევი ჰიდრაულიკური, ელექტროჰიდრაულიკური და ელექტროჰიდრომექანიკურ სისტემებთან მიმართებაში დინამიკის მათემატიკური მოდელირების, მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის მეთოდში სასურველი პროცესების ფორმირებისა და სინთეზირებადი პარამეტრების ძიების მეთოდების აგების ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომებში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებას წატმოადგენენ საკვლევი ამძრავთა სისტემების დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები და მეთოდიკები და კვლევის შედეგები, მიმართული განსაზღვრული ამძრავთა ელექტრომექანიკური სისტემების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

სამეცნიერო დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების უტყუარობა უზრუნველყოფილია მათემატიკური მოდელირების, რეგულირების რთული სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული სინთეზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების გამოყენებით.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ამძრავთა სისტემები მექანიკის ინჟინერიაში

მანქანათა სისტემებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ელექტრომექანიკურმა,

ჰიდრავლიკურმა, პნევმატურმა, ელექტროჰიდრო- და ელექტროპნევმო სისტემებმა. გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე პირდაპირი მოქმედების მექანიკური მაკოპირებული ამძრავები [1–7]. ამა თუ იმ მანქანის ამძრავის ტიპის შერჩევა წარმოადგენს მანქანის ახალი სქემის და ახალი კონსტრუქციის შემუშავების ზოგადი ამოცანის ნაწილს.

პირდაპირი მოქმედების მექანიკური ამძრავების, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მაკოპირებელ ჩარხებში, ძირითად ღირსებებს მიეკუთვნებიან: კონსტრუქციის სიმარტივე, შედარებით დაბალი ღირებულება, მდგრადობა მუშაობაში, მაღალი სიზუსტე, დაბალი საექსპლუატაციო დანახარჯები და საიმედოობა მუშაობაში [7, 8].

თანამედროვე დროში ელექტრომექანიკური ამძრავები იგება, როგორც მუდმივი დენის ელექტროძრავებზე, აგრეთვე ასინქრონულებზე, სპეციალურ მაღალმომენტურ და დაბალინერციულ, აგრეთვე ვენტილურ ძრავებზე [2, 9–11]. აქ უნდა აღინიშნოს, დაბალინერციულ ელექტროძრავებში (ეძ) სწრაფქმედება მიიღწევა ლუზის ინერციის მომენტის შემცირებით. დაბალინერციულ ელექტროძრავებს, როგორც მაღალმომენტიანებს, გააჩნიათ აგზნება მუდმივი მაგნიტებისაგან. უმეტესად გავრცელებულია ელძრავები დისკური ლუზით, რომლის სიგრძე მეტია დიამეტრზე. ვენტილური ძრავები (ვძ) წარმოადგენენ ელექტროამძრავს სინქრონული ძრავით და ინვენტორით, რომლის მართვა დამოკიდებულია ძრავას მობრუნების კუთხეზე. ვენტილური ძრავების გამოყენება იძლევა უმასო აგზნების განხორციელების საშუალებით [10, 12], რაც ზრდის ბრუნვის სიხშირეს 4500–6000 ბრ/წუთამდე და ძრავას საიმედოობას.

ელექტრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავები წარმოადგენენ გამოსასვლელზე დროში ნებისმიერად ცვალებადი შემავალი სიგნალის აღმწარმოებელ ჩაკეტილ დინამიკურ სისტემებს [13]. მათი დახმარებით ხორციელდება ჩარხების მჭრელი იარაღების მუშაობის რეჟიმი, ხორციელდება გლინების გადაადგილება საგლინი დგანების ბლუმინგებში, ხორციელდება რობოტების და მანიპულატორების შემსრულებელი

ორგანოების, თვითმფრინავების და ა.შ. მართვა [1-6].

ავიაციამი ელექტროამძრავებმა ჰპოვეს ფართო გამოყენება სხვადასხვა ობიექტების მართვის პროცესების ავტომატიზაციისათვის. ასეთი გამოყენების მაგალითებია საფრენი აპარატების საჭის მექანიზმების ამძრავები [4, 5], ავტომატური მიყოლის რადიოსალოკაციო სადგურების ამძრავები, სხვადასხვა ელექტრომექანიკური დანადგარების ამძრავები, სახელსაწყო ამძრავები და ა.შ.

მოთვალთვალე ამძრავებში გამოიყენება სიჩქარის გადამწოდები (სგ) და კუთხის ცვლილების გადამწოდები (კგ). გადამწოდების, როგორც ელექტროამძრავის სისტემის მგრძნობიარე ელემენტების, მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდნენ მაქსიმალური მგრძნობიარობის (გარდაქმნის კოეფიციენტის), დაბალი ინერციულობის, სტაბილურობის, აგრეთვე წრფივობის და ერთმნიშვნელობის მოთხოვნებს .

ელექტრული შემავალი სიდიდის სახის მიხედვით არაელექტრული სიდიდეების ელექტრული გადამწოდები შეიძლება იქნენ კლასიფიცირებულნი როგორც გენერატორულები (გამომავალი სიდიდე ელექტროამძრავებელი ძალა ან დენი) და პარამეტრულები (გამომავალი სიდიდე - ინდუქტიურობა, ტევადობა ან რეზისტული წინაღობა). სიგნალების ტიპების მიხედვით გადამწოდები იყოფიან ანალოგურებზე და ციფრულებზე.

სიჩქარის გადამწოდების სახით ელექტროამძრავებში როგორც წესი იყენებენ მუდმივი დენის ტაქოგენერატორებს, მბრუნავ ტრანსფორმატორებს, ფოტოელექტრულ გადამწოდებს, კოდურ გადამწოდებს და სხვა.

გამაძლიერებლები მოწყობილობების სახით ფართოდ გამოიყენებიან ინტეგრალური მიკროსქემების ბაზაზე აგებული მაძლიერებლები, ტრანზიტორული მაძლიერებლები და როგორც მუდმივი, აგრეთვე ცვალებადი დენის ქსელებიდან მკვებავი სიმძლავრის ტირისტორული მაძლიერებლები [19-21]. ეს სისტემები სტრუქტურის მიხედვით როგორც წესი არიან მრავალკონტურიანები.

ცნობილია იარაღების და ნამზადის შპინდელების ბრუნვა კავშირის მუდმივი დენის ძრავების გამოყენებაზე აგებული და ტირისტორული გარდამქმნელებით მართული სინქრონიზაციის ანალოგური სისტემა. ეს სისტემა საკმაოდ კარგად პასუხობს გადაადგილებათა შეთანწყობის სიზუსტის, იარაღისა და ნამზადის ბრუნვის სიხშირის, გარდამავალი პროცესების დინამიკის, მახასიათებლების სტაბილურობის, საიმედოობის და ა.შ. წაყენებულ მოთხოვნებს. სტრუქტურის მხრივ სისტემა შესრულებულია სიჩქარითი ცდომილების კომპენსაციით აღჭურვილი სამკონტურნიანი მოთვალთვალე სისტემის სახით. აქ მიმწოდებელი ორგანოს ხარისხში გამოიყენება ტირისტორული გარდამქმნელით მართული მუდმივი დენის ელექტროძრავა და შემსრულებელ ორგანოდ გამოიყენება ტირისტორული გარდამქმნელით მართული ელექტროძრავა, სადაც შემსრულებელ ორგანოთა ლილვების გაუთანხმოების კუთხე იზომება მბრუნავი ტრანსფორმატორებით.

ელექტრომექანიკურებთან ერთად ფართოდ გავრცელება მიიღეს ჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა მოთვალთვალე ამძრავებმა. ჩარხმშენებლობაში ისინი წარმატებით გამოიყენება ხისტი შაბლონიდან მომუშავე, აგრეგატულ ჩარხებში და ავტომატურ ხაზებში, დამყოფი და დასაყენებელი ოპერაციების შემსრულებელ მოთვალთვალე სისტემებში, რაც წარმოადგენს მრავალი პროგრამული მართვის სისტემის საფუძველს. ასეთი მოთვალთვალე სისტემების გამოყენება ბორბლიან და მუხლუხოვან სატრანსპორტო მანქანებში უზრუნველყოფს მართვის სიმსუბუქეს [14.16]. აეროკოსმოსურ ტექნიკაში ასეთმა სისტემებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს ხელით და ავტომატურად მართვით სისტემებში ბუსტერების, ავტოპილოტების შემსრულებელი მოწყობილობების ჰიდროგამაძლიერებლების და დამიზნების სისტემების სახით [5].

ჰიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავები უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება: დამამზადებელ-საშტამპავი და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობების ავტომატიზაციისათვის [17]; სპეციალურ სტენდებში მაღალსიხშირითი ვიბრაციული რხევების განხორციელებისათვის და

აგრეთვე მრავალ სხვა მანქანებში და მოწყობილობებში.

ჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს გემებზე. გემის ასეთ მოწყობილობებს, როგორც საჭრისებს, საღუბე-მისაბმელებს და ა.შ. გააჩნიათ მსგავსი ამძრავები. გამოიყენება მოთვალთვალე ჰიდროამძრავები შემსრულებელი კასკადით ცვლადი მწარმოებლურობის ტუმბო - დგუში ელექტრული უკუკავშირით და სხვა [6].

ჰიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავები დროსელური რეგულირებით (ჰმად) ფართოდ გამოიყენებიან ტექნიკურ სისტემებში, სადაც მოითხოვება მაღალი სწრაფქმედება, მცირე მასები და ზომები. მრავალ კონსტრუქციაში ჰმა(დ) გამოიყენება, განპირობებულია კონსტრუქციის სიმარტივით და შედარებით დაბალი თვითღირებულებით სერიულ წარმოებაში.

თანამედროვე ჰმა(დ) მუშაობენ წნევებზე (20-30) მპა და 5 კვტ-ის გამომავალი სიმძლავრისას შეუძლიათ მოთვალთვალე მოძრაობისას უზრუნველყონ სიხშირეები 200...300 ჰც-მდე, 150 კვტ-ის გამომავალი სიმძლავრისას კი 30...40 ჰც-მდე.

ჰიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავები მოცულობითი რეგულირებით - ჰმა(მ) - აგრეთვე ფართოდ გამოიყენებიან თანამედროვე ტექნიკაში. ისინი

ხასიათდებიან უპირატესობებით. უფრო მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტით და როგორც შედეგი მუშა სითხის ნაკლები გაცხელებით. სამანქანათმშენებლო პრაქტიკაში გავრცელება ჰპოვეს აგრეთვე კომბინირებულმა ამძრავებმა, რომლებშიც გამოიყენება სიჩქარის დროსელური რეგულირება რეგულირებად ტუმბოსთან ერთად [19]. კომბინირებულ ელექტროჰიდრავლიკურ ამძრავებში განხორციელებულია ელექტრული მართვის შეთანწყობა ჰიდრავლიკურ შემსრულებელ მექანიზმებთან. ასეთი შეთანწყობის შედეგად ადვილდება დამატებით მაკორექტირებელი მოწყობილობების შემოტანა, რომელთა დანიშნულებაა ამძრავთა საჭირო მახასიათებლების მიღება [14, 19]. განხილვადი სისტემები ელექტროამძრავებში გამოყენებული გადამწოდებთან, მაკორექტირებელ და

გამაძლიერებელ მოწყობილობებთან ერთად აგრეთვე თავის სტრუქტურებში მოიცავენ ელექტრომექანიკურ და ელექტროჰიდრავლიკურ გარდაქმნელებს ერთკასკადიან და ორკასკადიან მკვეთარულ სისტემებს, რომელთა მართვის ელემენტები ოპერირებენ საქშენ-საფართან გამაძლიერების პირველ კასკადში [14]. ასეთი ამძრავები გამოიყენება ჩარხებში რიცხოვრივი პროგრამული მართვით საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მგრძობიარობის, აღწარმოების

სიზუსტის და გადაადგილებათა სიჩქარეთა მაღალი მახასიათებლები. აღნიშნულთან ერთად ასეთი სისტემები აგრეთვე აღიჭურვებიან უკუკავშირებით ძალოვან ჰიდროამძრავებში არეებს შორის წნევათა სხვაობის ან და აჩქარების მიმართ. დამატებითი უკუკავშირი პირველ შემთხვევაში შემოაქვთ შემსრულებელი ძრავისაკენ მიმავალ ჰიდრომილისებში

ჩართული სპეციალურ დიფერენციალურ გადაძწოდებიდან, მეორე შემთხვევაში კი სისტემაში შემოაქვთ მოწყობილობა, რომელიც გამოიმუშავებს წარმოებულს ძრავას გამომავალ ლილვთან შეერთებულ

ტაქოგენერატორის ძაბვისაგან. ამ კავშირების ეფექტი გამოისახება ამძრავთა დემპფირებაში და შესაბამისად მიიღწევა მისი რხევადობის შემცირება. ავტომატური მართვის, გაზომვის, კონტროლის და რეგისტრაციის თანამედროვე სისტემებს უფრო ხშირად წარედგინებათ ამოცანები, რომლებიც შესაძლოა გადაჭრილი იქნან ანალოგური და ციფრული ტექნიკის საშუალებათა ერთდროული გამოყენებით. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნებიან ანალოგურ-ციფრული მოთვალთვალე სისტემები (აცმს), რომლებიც იძლევიან უაღრესად რთული რეგულირების კანონების რეალიზაციის და ინფორმაციათა წარმოდგენის ფორმების გარდაქმნის საშუალებას. ამასთან ერთად შეუძლიათ აწარმოონ სიგნალების ინტეგროდიფერენციალური და ფუნქციონალური გარდაქმნები, დაბრკოლებათა მოგლუვება და ა.შ.

ანალოგური სისტემები მიეკუთვნებიან უწყვეტი მოქმედების მოწყობილობებს, განსხვავდებიან სიმარტივით, მაგრამ გააჩნიათ შედარებით დაბალი სიზუსტე. ამავე დროს ციფრული მოწყობილობები მიეკუთვნებიან

დისკრეტული მოქმედების სისტემებს, მართვის დროში წყვეტილობასა და დონის მოფანტვასთან ერთად დამახასიათებელია ინფორმაციის კოდირება, ე.ი. მისი წარმოდგენა სიმბოლოების ნაკრებთა სახით. ამ სისტემებს გააჩნიათ მაღალი სიზუსტე და შეუძლიათ მრავალი ანალოგური ტექნიკის მიერ შეუსრულებელი ამოცანის ამოხსნა. ციფრული სისტემების უარყოფით მხარეებს წარმოადგენენ მათი სირთული და შედარებით მაღალი ღირებულება. მაგრამ ანალოგურ-ციფრულ სისტემებს (აცს), რომლებიც მოიცავენ ანალოგურ და ციფრულ ელემენტებს, კარგ შეთანწყობაში გააჩნიათ მათი ცალკეული დადებითი მხარეები. მოქმედების პრინციპის თანახმად აცს უნდა შეიცავდნენ ინფორმაციის ფორმათა გარდამქმნელებს: ანალოგურს ციფრულში (აცგ), ანდა ციფრულს

ანალოგურში (ცაგ). აცმს წარმოადგენენ მართვის ავტომატურ სისტემებს, რომლებიც შეიძლება იქნენ კლასიფიცირებულნი ავტომატურ სისტემათა ნიშნებით, ისინი შეიძლება იყვნენ ერთ- და მრავალგანზომილებიანი, ანალოგური და დისკრეტული შემადარებელი მოწყობილობებით.

აქ არ შეიძლება გვერდი აუაროთ მექანიკურ სისტემებს (მს), რომლებიც წარმოადგენენ ამძრავთა სისტემების მნიშვნელოვან ელემენტებს. მექანიკური სისტემები შეიცავენ მექანიკურად ურთიერთდაკავშირებულ მანქანათა ძრავების, გადაცემების და მუშა მოწყობილობების მოძრავ ინერციულ მასებს [1]. უკუკავშირის არამქონე ამძრავებშიც კი ენერგეტიკულ-გარდამქმნელ ნაწილსა და მექანიკურ ნაწილს შორის არსებობს ძალოვანი ჩაკეტილობა პირდაპირი და უკუკავშირების

მეშვეობით. მოთვალთვალე სისტემაში კი მექანიკური სისტემა ნაწილობრივ ანდა მთლიანად შემოწდომილია კონტურული კავშირებით მდებარეობის მიხედვით, რაც უფრო მნიშვნელოვნად აძლიერებს მექანიკური ნაწილის ზემოქმედების ხარისხს მთლიან სისტემაზე [2].

დინამიკის ცნობილი აღწერები ამძრავთა სისტემებში აბსოლუტურად ხისტი რგოლებით შემსრულებელ მექანიზმებში საშუალებას იძლევიან უაღრესად მარტივი გზით გათვალისწინებული იქნას მექანიკური ნაწილის

ინერცია, მოქმედი ძალები და მომენტები. მაგრამ აღნიშნული მოდელების გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არ ასახავენ რეალური მექანიკური სისტემის რიგ მნიშვნელოვან ფიზიკურ თვისებებს. აქედან გამომდინარე კინემატიკური ჯაჭვის ელემენტებში მოქმედი დატვირთვების შეფასება შეიძლება იქნას რეალიზებული უაღრესად მიახლოებით . დრეკადი რგოლების არსებობა მექანიზმებში ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას მთლიანი სისტემის დინამიკაზე. გარდამავალი პროცესების ანალიზთან მექანიკურ და მთლიანობაში ელექტრომექანიკურ სისტემებში დაკავშირებული ნაშრომები, ჩატარებული ვ. ვეიტცის და მ. კოლოვსკის, ა. გოლუბენცევის, ს. კაზაკის, ს. კოჟენიკოვის, ვ. კუდინოვის და სხვათა მიერ, მიგვითითებენ არადაძვარებულ მოძრაობათა რხევით ხასიათზე.

ელექტრული მართვის მქონე ჰიდრავლიკური ამძრავი ფართო გამოყენებას პოულობს რობოტოტექნიკაში დატვირთვათა მასების დიაპაზონში 10 კგ-დან რამოდენიმე ტონამდე. ჰიდროამძრავის გავრცელება განპირობებულია მისი მაღალი სწრაფქმედებით, დიდი ენერგოტევადობით, დამტვირთავი მახასიათებლების შედარებით დიდი სიხისტით მუშა სითხეების მცირე კუმშვადობის გამო. ძრავების სახით ფართოდ გამოიყენება ჭოკის წინსვლითი მოძრაობის მქონე წრფივი ჰიდროცილინდრები, ბრუნვითი ჰიდროძრავები გამოსასვლელი ლილვის ბრუნვის შეზღუდული კუთხით და ჰიდროძრავები.

რობოტების პოზიციურ და კონტურულ სისტემებში გამოყენებას პოულობენ ელექტროჰიდრავლიკური მიმყოლი ამძრავები წრფივი ჰიდროცილინდრებით, ბრუნვითი ჰიდროძრავებითა და ბრუნვითი მოძრაობების ძრავებით, ასევე ბრუნვითი და წინსვლითი მოძრაობის ელექტროჰიდრავლიკური ბიჯური ამძრავები [13, 15-17].

გემის მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ელექტროჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრომექანიკურმა ამძრავთა სისტემებმა [20, 21].

ფართო გამოყენება ჰპოვეს როგორც სისტემებმა, რომელთა აღმსრულებელი კასკადებია: ცვალებადი მწარმოებლურობის ტუმბო – ჰიდრავლიკური მანქანის დგუშები და მუდმივი მწარმოებლურობის ტუმბო – მკვეთარა-დგუში ელექტრული უკუკავშირით, აგრეთვე სისტემებმა ჰიდრომოწყობილობებით: ცვალებადი მწარმოებლურობის ტუმბო – ჰიდროცილინდრის დგუში, მუდმივი მწარმოებლურობის ტუმბო – ჰიდროცილინდრის დგუში.

მეორე სახის სისტემებში ჰიდროცილინდრის ჭოკსა და გემის საჭეს შორის მოძრაობათა გადაცემას ახორციელებს მექანიკური სისტემა.

1.2. დინამიკური სისტემების კვლევის საკითხების მიმოხილვა

ამა თუ იმ დასახული თვისებების დამაკმაყოფილებელი მექანიზმებისა და სამანქანო სისტემების აგების ამოცანის გადაწყვეტა იწყება რაციონალური კინემატიკური სქემის მქონე მექანიზმის ფორმირებით.

მექანიზმების სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები პირველად იქნა განხილული ლ.ვ. ასურის და ა.გ. მალიშევის ნაშრომებში. მექანიზმების კლასიფიკაციის შემდგომი განვითარება ასახულია ი.ი. ართობოლევსკის, ვ.ვ. დობროვოლცკის [22-27] და რ. ფრანკეს [28] ნაშრომებში. ბრტყელი მექანიზმების სინთეზის საკითხებს და მრავალრგოლიან სახსროვანი მექანიზმების კვლევებს განიხილავენ თავის შრომებში ნ.ი. ლევიტსკი [29, 30] და ს.ა. ჩერკუდინოვი [31].

დ.ს. თავხელიძის, გ.ა. ჯაბუას და ო.ს. ეზიკაშვილის [32, 33] შრომები მიძღვნილია ბრტყელი მექანიზმების კვლევის საკითხებისადმი.

გ.პ. ბარანოვის ნაშრომები [34] მიძღვნილია წინასწარ დასახული პირობების მიხედვით მექანიზმების კვლევისა და პროექტირების საკითხებისადმი, აგრეთვე მრავალსაფეხურიანი კბილანური და რთული პლანეტარული მექანიზმების კინემატიკური კვლევებისადმი.

ს.ნ. კოჟევნიკოვის წიგნში [35] შეისწავლება სტრუქტურული და კინემატიკური ანალიზების საკითხები; დგინდება მექანიზმების სტრუქტურა და განისაზღვრება რგოლების ცალკეული წერტილების ტრაექტორიები, გადაადგილებები, სიჩქარეები და აჩქარებები, აგრეთვე რგოლების ზომები წინასწარ დასახული პირობების მიხედვით. განიხილება გარეშე მამოძრავებელი და წინააღმდეგობის ძალების ზემოქმედებით გამოწვეულ რგოლების მოძრაობების განსაზღვრის მეთოდები, მოძრაობის რეგულირების, ინერციის ძალების გაწონასწორების საკითხები და სხვა. რხევების თეორიის საფუძვლები, თავისუფლების ერთ და მრავალი ხარისხის მქონე მექანიკური სისტემების რხევების თეორია და სისტემის საკუთარი სიხშირის განსაზღვრის მეთოდები განიხილება ს.პ. ტიმოშენკოს, დ.ხ. იანგის, უ. უივერის, ფ.მ. ცზას, ი.ე. მორზეს, პ.ტ. ხინკპას შრომებში [36-38].

ვ.ა. იუდინისა და ლ.ვ. პეტროკასას ნაშრომებში აგრეთვე შემოთავაზებულია მექანიზმების ძალოვანი გათვლის მეთოდები, მანქანების აგრეგატების დინამიკური ანალიზის და სინთეზის ზოგიერთი საკითხები, რომელთაც მიეკუთვნება პერიოდული რხევების რეგულირება და მანქანების გაწონასწორების ამოცანები.

ვ.ა. კუდინოვის ნაშრომში [39] შემოთავაზებულია ჩარხების დინამიკური ხარისხის მაჩვენებლების სისტემა და მოცემულია ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩარხების შეფასების საკითხები, თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის ჩატარების საერთო მეთოდიკა.

მიწოდების რაციონალური სიჩქარეები აუცილებელია სიმძლავრის, ტექნოლოგიური წნევების განსაზღვრა, მაღალი ხარისხის და დამუშავების სიზუსტის უზრუნველყოფის პირობების უზრუნველყოფით, ოპტიმალური წარმადობის, გაწყობის მეთოდები და მართვის საკითხები განხილულია ფ.მ. მანჟოსის ნაშრომებში [40].

ვ.ლ. ბიდერმანის წიგნში [41] გადმოცემულია წრფივი და არაწრფივი მექანიკური სისტემების რხევების თეორიის საფუძვლები და მანქანათმშენებელი კონსტრუქციების დინამიკური გათვლისთვის საერთო

მეთოდების გამოყენება.

მ.ფ. დიმენტბერგის ნაშრომში [42] განხილულია მოძრაობის რამდენიმე შესაძლებელ რეჟიმში მყოფი არაწრფივი სისტემების რხევების კვლევის საკითხები, მოყვანილია სისტემების ხარისხური და არახარისხური იდენტიფიკაციის მეთოდები რხევითი პროცესების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. განხილული საკითხების გადაწყვეტა ხდება ანალიზურად, ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე მოდელირების გზით.

ვ.ლ. ვეიცის ნაშრომში [43] მექანიზმის კვანძების არადარტყმითი ურთიერთქმედების ამსახველ დინამიკურ მოდელებთან ერთად, განხილულია დარტყმითი და ვიბროდარტყმითი ტიპის მოდელები. მათ საფუძველზე ჩატარებულია იძულებითი რხევების კომპლექსური კვლევები, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ თვითდამუხრუჭებადი სისტემებისათვის დამახასიათებელი რიგი ახალი მოვლენებისა. აქვე მოცემულია არაწრფივი დისიპაციური ძალების კვლევები დრეკად რგოლებიანი მექანიზმების დინამიკის ამოცანებში. განხილულია დისიპაციური ძალების კორექტული ეკვივალენტური გაწრფივების საკითხები, აგრეთვე დამუშავებული მეთოდების გამოყენება თავისუფლების ერთი და მრავალი

ხარისხის მქონე სისტემებში რხევების გაანგარიშებისას.

ს.ი. სერგეევის ნაშრომში [44] ძირითადი ყურადღება ექცევა ჰიდრავლიკურ დემპფერებს და ერთი ან რამდენიმე ადგილში თავმოყრილი ბლანტი ხახუნის მქონე წრფივი მექანიკური სისტემების რხევების თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემები ამის შესახებ საკმარისია დემპფერების პროექტირებისათვის ხსენებული მექანიკური სისტემებით აღჭურვილ მანქანებში.

დრეკად-პლასტიკური სხეულების შემთხვევითი რხევები შეისწავლება ვ.ა. პალმოვის ნაშრომებში [45]. სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა იგება გალერკინის მეთოდის ამონახსნით სხეულის თავისუფალი დრეკადი რხევების ფორმების მიხედვით რიგში დაშლის გამოყენებით. აღნიშნულია

რხევების სხვადასხვა სიხშირული შემდგენების ურთიერთზემოქმედება.

დინამიკის მრავალი ამოცანის ამოხსნისას მივდივართ ეფექტური მიახლოებითი რიცხვით-ანალიტიკური და რიცხვითი მეთოდების შემუშავების აუცილებლობასთან. ყველაზე უფრო პერსპექტიულს წარმოადგენს თანამედროვე ეგმ-ზე პრაქტიკულად რეალიზებადი ფართო ამოცანების შემცველი რიცხვითი ანალიზური მეთოდები.

ა.პ. კარტაშოვისა და ბ.ლ. როჟდესტვენსკის ნაშრომი [46] ეძღვნება ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების თეორიასა და ძირითად განმარტებებს და ვარიაციული გამოთვლების მარტივ ამოცანებს. მოცემულია აგრეთვე პირველი რიგის კერძო წარმოებულის შემცველი განტოლებების ამოხსნის მახასიათებლების მეთოდები, დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის მიახლოებითი მეთოდები, პერიოდულ კოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების წრფივი სისტემები.

ამერიკელი სპეციალისტების ჯ. ფოსოტისა და კ. მოლერის გამოყენებით მათემატიკასთან დაკავშირებულ შრომებში [47] აღწერილია წრფივი ალგებრული სისტემების ეგმ-ზე ამოხსნის თანამედროვე მეთოდები. ნაშრომები [48-50] მიძღვნილია მანქანებში დინამიკური პროცესების შესწავლისადმი.

ამძრავთა მექანიკურ სისტემებში, წარმოქმნილი დინამიკური მოვლენების კვლევათა განსაკუთრებულობის თვალსაზრისით, შესაძლოა მათი, სხვადასხვა მოვლენათა სახის კლასიფიცირება [51-56].

დრეკად სისტემებში მანქანის ყველა ელემენტი, რომლებიც გადასცემენ მოძრაობას და მოძრაობაში მოყავთ მანქანის ნაწილები, მიიჩნევიან დრეკადად; ამასთანავე ელემენტთა დეფორმაცია არ აღემატება სიხისტის ზღვარს, ასეც არის ნარჩენი დეფორმაციები არ გაითვალისწინება. ერთი დრეკადი კავშირის შემთხვევაში სისტემას უწოდებენ ერთკავშირიანს, ორი კავშირის შემთხვევაში – ორკავშირიანს და ა.შ. დრეკად კავშირებს შეიძლება გააჩნდეთ მუდმივი და ცვლადი სიხისტეები. პირველ შემთხვევაში სისტემის რხევითი პროცესებისა და დრეკადი კავშირების განსაზღვრის კვლევისას, დავდივართ როგორც წესი მუდმივ

კოეფიციენტიანი წრფივი განტოლების ამოხსნამდე. მეორე შემთხვევაში იგივე მოვლენების

კვლევისას დავდივართ არაწრფივი განტოლებების ამოხსნამდე.

სისტემები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შეყურსული მასების სახით დაკავშირებული ხისტი ან დრეკადი რგოლებით, ან კიდევ ელემენტთა განაწილებული მასების სახით. პირველ შემთხვევაში

დინამიკის ამოცანათა გადაწყვეტა შეიძლება გამოსახული იქნას ნიუტონის დიფერენციალური განტოლებით (ხისტი კავშირები) ან ლაგრანჟის განტოლებით (დრეკადი კავშირები). გამომდინარე შეყურსულ მასათა რაოდენობიდან სისტემა იწოდება ერთმასიანად, ორმასიანად, სამმასიანად და ა.შ.

განაწილებული მასების შემთხვევაში დრეკადი სისტემის დინამიკის განხილვისას დავდივართ გადაწყვეტილებამდე ე.წ. ტალღურ განტოლებებამდე.

კონსერვატიულ სისტემებს უწოდებენ ისეთ სისტემებს, რომლებშიც მოქმედ ძალებს ან ძალურ მომენტებს გააჩნიათ პოტენციალი. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას კონსერვატიულ სისტემებში პრაქტიკულად არ არსებობს ენერგიის შემოდენა და გადენა.

რაიმე განსაზღვრული ნიშნის მქონე დისიპაციური სისტემები (წამყვანი რგოლის სიჩქარის შენარჩუნება, დროის ფუნქციაში დატვირთვების ცვლილების კანონის შენარჩუნება და სხვ.) ხასიათდებიან იმით, რომ მოძრაობის პროცესში არსებული ჩამხშობის ან წყაროს ხარჯზე, როგორცაა მაგალითად მოძრავი ცვლადი ძალების მნიშვნელობები, რომელიც დაკავშირებულია ძრავის თვისებებთან, ადგილი აქვს უკუცემას ან ენერგიის შემონაკადს.

კონკრეტული სისტემების დინამიკური ამოცანების გამოყვანა ადვილია, ოღონდ მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის კონკრეტული პირობებისათვის იშვიათად გამოიყენებიან.

წონასწორულს უწოდებენ ისეთ სისტემებს, რომლებიც ნებისმიერ მდგომარეობაში, გარე დატვირთვების არ არსებობისას ინარჩუნებენ

წონასწორობას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მექანიზმები ან მანქანები, შედგენილი მხოლოდ მბრუნავი ელემენტებისაგან (ვენტილატორი, სახარატო ჩარხის შპინდელის მბრუნებელი მექანიზმი და სხვ.).

არაწონასწორული სისტემები მხოლოდ ზოგიერთ მდგომარეობაში წონასწორდებიან საკუთარი წონის ძალებით (ექსცენტრული მექანიზმი, მრუდმხარა ბარბაცა და სხვ.).

